

საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური
საქსტატი



დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახურის საბჭოს 2016 წლის 3
ივნისის №8 დადგენილებით

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების
გამოყენების კვლევა შინამეურნეობებში

შინამეურნეობის 15 წლის და უფროსი ასაკის წევრისთვის,
რომელსაც ოდესმე გამოუყენებია ინტერნეტი ან კომპიუტერი
(დროებით წასულების გარდა)

ძირითადი კითხვარი

შინამეურნეობის იდენტიფიკატორები დაკვირვების უბანი: შინამეურნეობა:

ინტერვიუერის სახელი და გვარი: ინტერვიუერის კოდი:

ზედამხედველის სახელი და გვარი: ზედამხედველის კოდი:

კითხვარის შევსების თარიღი:
დღე თვე წელი

ინტერვიუს დაწყების დრო :
საათი წუთი

A განყოფილების რესპონდენტის კოდი დემოგრაფიული კითხვარიდან

რესპონდენტის საკონტაქტო ტელეფონი: ქალაქის მობილური

განყოფილება A. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წვდომა შინამეურნეობაში

შენიშვნა: ეს განყოფილება ეხება მთლიანად შინამეურნეობას

A1. თქვენ ან თქვენი შინამეურნეობის რომელიმე წევრს გაქვთ თუ არა წვდომა კომპიუტერთან თქვენს საცხოვრისში? (იგულისხმება ნებისმიერი ტიპის კომპიუტერი: სტაციონარული, ლეპტოპი, ნეტბუქი, პლანშეტი, გარდა მობილური ტელეფონებისა/სმარტფონებისა)

1. დიახ
2. არა

A2. თქვენ ან თქვენი შინამეურნეობის რომელიმე წევრს გაქვთ თუ არა წვდომა ინტერნეტთან თქვენს საცხოვრისში? (ნებისმიერი მოწყობილობის გამოყენებით: ნებისმიერი ტიპის კომპიუტერი, მობილური ტელეფონები/სმარტფონები და სხვა)

1. დიახ
2. არა [→A4]
3. არ ვიცი [→B1]

A3. რა სახის ინტერნეტ კავშირს იყენებთ თქვენს საცხოვრისში? (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი)

1. ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირი (DSL, საკაბელო, თანამგზავრული)

ფიქსირებული და ფიქსირებული უსადენო ფართოზოლოვანი კავშირით

2. DSL (მაგ. ADSL, SHDSL, VDSL);
3. ფიქსირებული სადენიანი (კაბელონო მოდემი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, LAN ქსელი, ეთერნეტი, PLC);
4. ფიქსირებული უსადენო (თანამგზავრული, ფიქსირებული უსადენო ტექნოლოგიები (FWA), საზოგადოებრივი WiFi);

მობილური ფართოზოლოვანი კავშირით

5. მობილური სატელეფონო ქსელი (არანაკლებ 3G, მაგ. UMTS) უშუალოდ მობილური ტელეფონის მეშვეობით;
6. მობილური სატელეფონო ქსელი (არანაკლებ 3G, მაგ. UMTS) ბარათით ან USB მოდემით (მაგ. ინტეგრირებული SIM ბარათით);

სხვა, ვიწროზოლოვანი კავშირით

7. Dial-up ჩვეულებრივი ტელეფონის ხაზით ან ISDN;
8. მობილური ვიწროზოლოვანი კავშირით (3G-ზე ნაკლები, 2G +/GPRS, მობილური ტელეფონის ან ლეპტოპის მოდემით);
9. მაგთი ფიქსის ტელეფონით.

[→B1]

A4. დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც არ გაქვთ წვდომა ინტერნეტზე თქვენს საცხოვრისში (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი)

1. საშუალება გვაქვს სხვაგან ვისარგებლოთ ინტერნეტით;
2. არ გვჭირდება ინტერნეტი (ვერაფერში გამოგვადგება, არ გვაინტერესებს და ა.შ.);
3. აღჭურვილობა ძვირია;
4. მიმდინარე ხარჯები (ტელეფონის, DSL სააბონენტო გადასახადი და ა.შ.) დიდია;
5. საჭირო უნარ-ჩვევების უქონლობა;
6. კონფიდენციალობისა და (კიბერ)უსაფრთხოების მიზეზი;
7. ფართოზოლოვანი ინტერნეტი მისაწვდომი არ არის ჩვენს უბანში;
99. სხვა (მიუთითეთ) _____.

განყოფილება B. კომპიუტერის გამოყენება

შენიშვნა: ამ და შემდეგ განყოფილებებში გამოიკითხება მხოლოდ შინამეურნეობის შერჩეული წევრი

რესპონდენტის კოდი დემოგრაფიული კითხვარიდან:

რესპონდენტის მობილური ტელეფონის ნომერი

B1. ბოლოს როდის ისარგებლეთ კომპიუტერით დამოუკიდებლად (საცხოვრისში, სამსახურში ან სხვა ნებისმიერ ადგილას)? (იგულისხმება ნებისმიერი ტიპის კომპიუტერი: სტაციონარული, ლეპტოპი, ნეთბუქი, პლანშეტი, გარდა მობილური ტელეფონებისა/სმარტფონებისა)

1. ბოლო 3 თვის განმავლობაში;
2. ბოლო 3-12 თვის განმავლობაში [→B3];
3. 12 თვეზე მეტი ხნის წინ [→B3];
4. საერთოდ არ მისარგებლია [→C1].

B1.1. რა ტიპის კომპიუტერით ისარგებლეთ ბოლო სამი თვის განმავლობაში?

(შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი)

1. პერსონალური (სტაციონარული) კომპიუტერით;
2. პორტატული კომპიუტერით (ლეპტოპით, ნოუთბუქით, ნეთბუქით);
3. პლანშეტური კომპიუტერით ან მსგავსი მოწყობილობით.

B2. ბოლო სამი თვის განმავლობაში რამდენად ხშირად სარგებლობდით კომპიუტერით?

1. ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე;
2. კვირაში ერთხელ მაინც (მაგრამ არა ყოველდღე);
3. უფრო იშვიათად ვიდრე კვირაში ერთხელ.

B3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტებთან დაკავშირებული რომელი აქტივობა გაქვთ განხორციელებული? (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი ან მხოლოდ პასუხი 77)

1. ელექტრონული ფაილების ან საქაღალდეების კოპირება ან გადაადგილება;
2. კოპირების (copy-paste) გამოყენება მონაცემების დუბლირებისა და გადაადგილებისთვის ერთი დოკუმენტის ფარგლებში (იქნება ეს ფოტოები, ტექსტი თუ სხვა სახის მონაცემები);
3. ძირითადი არითმეტიკული ფორმულების გამოყენება ელექტრონული ცხრილების მეშვეობით;
4. ახალი მოწყობილობების მიერთება და დაინსტალირება კომპიუტერში (მაგ, მოდემის, ვიდეო თვალის, პრინტერის);
5. პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მოძიება, ჩამოტვირთვა, დაყენება და სასურველი პარამეტრების დაყენება;
6. ელექტრონული პრეზენტაციების შექმნა პრეზენტაციებისთვის განკუთვნილი პროგრამების მეშვეობით (ფოტოების, ხმოვანი/ვიდეო ფაილებისა და დიაგრამების ჩათვლით);
7. ფაილების გადატანა კომპიუტერებსა ან/და სხვა მოწყობილობებს შორის;
8. კომპიუტერული პროგრამის დაწერა სპეციალიზებული პროგრამირების ენების მეშვეობით;
77. არცერთი ჩამოთვლილთაგან.

განყოფილება C. ინტერნეტის გამოყენება

C1. ბოლოს როდის ისარგებლეთ ინტერნეტით დამოუკიდებლად (ნებისმიერ ადგილას)? (ნებისმიერი მოწყობილობით: სტაციონარული, გადასატანი ან პორტატული, მობილურისა და სმარტფონის ჩათვლით)

1. ბოლო 3 თვის განმავლობაში;
2. ბოლო 3-12 თვის განმავლობაში [→D1];
3. 12 თვეზე მეტი ხნის წინ [→E1];
4. საერთოდ არ მისარგებლია [→F3].

C2. ბოლო სამი თვის განმავლობაში რამდენად ხშირად სარგებლობდით ინტერნეტით?

1. ყოველ დღე ან თითქმის ყოველდღე;
2. კვირაში ერთხელ მაინც (მაგრამ არა ყოველდღე);
3. უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში ერთხელ.

C3. ბოლო სამი თვის განმავლობაში სად ისარგებლეთ ინტერნეტით (კომპიუტერის ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობის გამოყენებით)? (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი)

1. სახლში (თავის საცხოვრისში);
2. სამსახურში (არა სახლში);
3. სასწავლებელში (მაგ. სკოლა, უნივერსიტეტი);
4. სხვის საცხოვრისში;
99. სხვა ადგილას (მიუთითეთ)_____

C4. ქვემოთ ჩამოთვლილი მობილური მოწყობილობებიდან რომელს იყენებდით უსადენო ინტერნეტთან წვდომისთვის ნებისმიერი ადგილიდან, გასული 3 თვის განმავლობაში? (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი ან მხოლოდ პასუხი 77)

1. მობილურ ტელეფონს (ან სმარტფონს);
თუ „დიახ“
 - 1.1 მობილური სატელეფონო ქსელით;
 - 1.2 სხვა უსადენო ქსელით (მაგ. WiFi);
 2. პორტატულ კომპიუტერს (ლეპტოპს, ნოუტბუქს, ნეტბუქს) ;
თუ „დიახ“
 - 2.1 მობილური სატელეფონო ქსელით, USB მოდემის/სიმ-ბარათის, ან მობილური ტელეფონის, როგორც მოდემის გამოყენებით;
 - 2.2 სხვა უსადენო ქსელით (მაგ. WiFi);
 3. პლანშეტურ კომპიუტერს;
თუ „დიახ“
 - 3.1 მობილური სატელეფონო ქსელით, USB მოდემის/სიმ-ბარათის, ან მობილური ტელეფონის, როგორც მოდემის გამოყენებით;
 - 3.2 სხვა უსადენო ქსელით (მაგ. WiFi);
99. სხვა მობილურ მოწყობილობას (მაგ. გადასატან სათამაშო მოწყობილობას, სმარტ-საათს, ელექტრონული წიგნების წასაკითხ მოწყობილობას) (მიუთითეთ)
_____.

77. არ ვიყენებ უსადენო ინტერნეტთან კავშირისთვის მობილურ მოწყობილობებს.

C5. რა სახის პირადი მიზნებისთვის იყენებდით ინტერნეტს ბოლო 3 თვის განმავლობაში (კომპიუტერის ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობის გამოყენებით)?
(შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი ან მხოლოდ პასუხი 77)

შენიშვნა: ეს კითხვა გულისხმობს ინტერნეტის მხოლოდ კერძო ან პირადი მიზნებისთვის გამოყენებას (სამსახურებრივ მიზნებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული). ასევე, აქ იგულისხმება ის შემთხვევები, როდესაც რესპონდენტმა სხვა პირისთვის განახორციელა აღნიშნული აქტივობა.

კომუნიკაცია

1. ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა;
2. სოციალური ქსელების გამოყენება (მაგ. ფეისბუქი, ტვიტერი, ოდნოკლასნიკები, იუთუბი და ა.შ.);

ინფორმაციაზე წვდომა

3. ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების/ელ. წიგნების საკითხავად ან ჩამოსატვირთად (RSS-ის ჩათვლით);
4. ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოსაძიებლად (მაგ. ტრავმები, ავადობები, კვება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება და ა.შ.);
- 4.1. ჩაწერა ექიმთან ვებ-გვერდის მეშვეობით;
5. განათლების, პროფესიული მომზადებისა და სასწავლო კურსების შესახებ შემოთავაზებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსაძიებლად;
6. საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად;
7. პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის ან აპლიკაციის (გარდა თამაშებისა) ჩამოსატვირთად;

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჩართულობა

8. ვებ-გვერდების მეშვეობით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე საკუთარი შეხედულებების მიწოდება (მაგ. ბლოგები, სოც. ქსელები, ვებ-გვერდები, რომლებიც შეიძლება შექმნილი იყოს კერძო პირის ან ორგანიზაციის მიერ);
9. მონაწილეობა ონლაინ კონსულტაციებში ან ხმის მიცემაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების გამოსავლენად (მაგ. ქალაქდაგეგმარება, პეტიციების ხელმოწერა და სხვა);

სწავლება

10. ონლაინ კურსები/სწავლება;
11. wiki-კონსულტაცია ცოდნის მისაღებად (სხვადასხვა საკითხზე) (მაგ. Wikipedia, ან სხვა ონლაინ ენციკლოპედია);

პროფესიული ცხოვრება

12. სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა;
13. მონაწილეობა პროფესიულ ქსელებში (მაგ. პროფილის გახსნა ან სხვა აქტივობა LinkedIn-ში ან სხვა პროფესიულ ქსელებში);

სხვა ონლაინ მომსახურება

14. მგზავრობის ან დაბინავების მომსახურება;
15. საქონლის/მომსახურების გაყიდვა, მაგალითად აუქციონების მეშვეობით (eBay და ა.შ.);
16. ინტერნეტ აუდიო/ვიდეო კავშირი (ტელეფონია) (VoIP, Skype, Google Hangout, Yahoo Messenger და ა. შ.);
17. ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა;
18. ინფორმაციის შესანახად განკუთვნილი ონლაინ სივრცის გამოყენება ფოტოების, მუსიკის, ვიდეოების და ა.შ. ფაილების შესანახად (მაგალითად Google Drive, Dropbox, Windows OneDrive, iCloud);
19. ონლაინ რეჟიმში პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების გამოყენება, ტექსტების, ცხრილების ან პრეზენტაციების რედაქტირება;

ონლაინ მედია

20. ონლაინ რადიოს მოსმენა;
21. ონლაინ ტელევიზიის ყურება;
22. ონლაინ რეჟიმში ფილმების, ვიდეოების, მუსიკის მოსმენა/ყურება; ფოტოების ჩამოტვირთვა; ონლაინ რეჟიმში თამაში ან თამაშის გადმოტვირთვა;

კრეატიულობა

23. გაზიარების მიზნით, მომხმარებლის მიერ შექმნილი ფაილებისა და სხვა სახის პროდუქტების ატვირთვა ვებ-გვერდზე (ტექსტი, ფოტოები, ვიდეო, მუსიკა, პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები და ა.შ.);
24. პერსონალური/საკუთარი ვებგვერდის მართვა/ადმინისტრირება;
25. ბლოგინგი: ბლოგის მართვა/ადმინისტრირება ან ბლოგში ინფორმაციის დამატება
77. არცერთი ჩამოთვლილთაგან.

განყოფილება D. E-მმართველობის გამოყენება

შენიშვნა: ეს განყოფილება ივსება იმ რესპონდენტებისთვის, რომლებმაც კითხვაში C1 არ უპასუხეს „12 თვეზე მეტი ხნის წინ“ ან „საერთოდ არ მისარგებლოა“

D1. ბოლო 12 თვის განმავლობაში პირად საკითხებზე გქონდათ თუ არა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით, შემდეგი მიზნებით?

შენიშვნა: ეს კითხვა გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან ურთიერთობას მხოლოდ კერძო ან პირადი მიზნებისთვის (სამსახურებრივ მიზნებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული). ასევე, აქ იგულისხმება ის შემთხვევები როდესაც რესპონდენტმა სხვა პირისთვის განახორციელა აღნიშნული აქტივობა.

იგულისხმება ვებ-გვერდები, დაკავშირებული მოქალაქეთა ვალდებულებებთან (მაგ. საგადასახადო დეკლარაციები, მისამართის ცვლილებაზე შეტყობინება, უფლებებთან (მაგ. სოციალური შეღავათები), ოფიციალურ დოკუმენტებთან (მაგ. პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა და სხვა), საზოგადოებრივი განათლების მომსახურებასთან (მაგ. ინფორმაცია საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებში ჩარიცხვაზე), საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებასთან (სახელმწიფო საავადმყოფოების ჩათვლით) და ა.შ., გარდა ხელით აკრეფილი ელ. ფოსტით მიმოწერისა. (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი ან მხოლოდ პასუხი 77)

1. დიახ, სახელმწიფო დაწესებულებების ვებ-გვერდებიდან ინფორმაციის მოსაპოვებლად;
2. დიახ, ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოსატვირთად;
3. დიახ, შევსებული ფორმების/ბლანკების წარსადგენად;
77. არცერთი ჩამოთვლილთაგან [→D5].

D2. ბოლო 12 თვის განმავლობაში ხომ არ გამოგიყენებიათ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ან საჯარო მომსახურების სააგენტოების ვებ-გვერდები შემდეგი მიზნებისთვის? (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი)

1. შემოსავლების/საბაჟო დეკლარირებისთვის;
2. სოციალური შეღავათების (მაგ. პენსია, ბავშვებზე დახმარება და ა. შ.) მოთხოვნისთვის ან შესაბამისი ინფორმაციის მოძიებისთვის;
3. პირადი საბუთის/მოწმობის (მაგ. პასპორტი, პირადობის, მართვის, დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების მოწმობის) შეკვეთისთვის ან აღნიშნული საბუთების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებისთვის;
4. სახელმწიფო ბიბლიოთეკებით სარგებლობისთვის (მაგ. კატალოგების ხელმისაწვდომობა, საძიებო საშუალებების არსებობა);
5. უმაღლეს სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში ჩასარიცხად ინფორმაციის მოძიებისთვის ან გამოცდებზე რეგისტრაციისათვის (მაგ. ერთიანი ეროვნული, სამაგისტრო, გამოსაშვები პროფესიული გამოცდები);
99. სხვა (მიუთითეთ)_____.

D3. ბოლო 12 თვის განმავლობაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ან საჯარო მომსახურების სააგენტოების ვებ-გვერდების პირადი მიზნებისთვის გამოყენებისას ხომ არ გქონიათ ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები? (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი ან მხოლოდ პასუხი 4)

1. ვებ-გვერდის ტექნიკური გაუმართაობა;
2. არასაკმარისი, გაუგებარი ან მოძველებული ინფორმაცია;
3. სათანადო მხარდაჭერა ვერ იქნა მოპოვებული (ონლაინ ან ოფლაინ);
99. სხვა (მიუთითეთ) _____.
4. არა, არ მქონია.

D4. ხართ თუ არა კმაყოფილი ბოლო 12 თვის განმავლობაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ან საჯარო მომსახურების სააგენტოების ვებ-გვერდების ფუნქციონირების შემდეგი ასპექტებით? (შემოხაზეთ თითო პასუხი სტრიქონში)

		ძირითადად კმაყოფილი	ძირითადად უკმაყოფილო	ვერ ვაფასებ/ არ ვიცი
1.	ინფორმაციის მოძიების სიმარტივე	1	2	3
2.	ხელმისაწვდომი ინფორმაციის სარგებლიანობა	1	2	3
3.	მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისობა მოთხოვნასთან	1	2	3
4.	ვებ-გვერდის გამოყენების სიმარტივე	1	2	3

D5. ბოლო 12 თვის განმავლობაში გქონდათ თუ არა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან ურთიერთობა პირად საკითხებზე ვებ-გვერდისგან განსხვავებული საშუალებებით? (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი ან პასუხი 4)

1. დიახ, ტელეფონით (გარდა SMS-სა);
2. დიახ, ელ. ფოსტით;
3. დიახ, პირადი ვიზიტით;
99. დიახ, სხვა სახით (მაგ. ფოსტა, SMS, ფაქსი და ა.შ.) (მიუთითეთ) _____.
4. არა, არ მქონია ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან ვებ-გვერდისგან განსხვავებული მეთოდით ბოლო 12 თვის განმავლობაში.

[თუ D1-ში. არ არის შემოხაზული პასუხი 3 (შევსებული ფორმების/ბლანკების წარსადგენად) → D6, სხვა შემთხვევაში → E1]

D6. რა მიზეზით არ წარგიდგენიათ შევსებული ფორმები/ბლანკები სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ვებ-გვერდებზე ბოლო 12 თვის განმავლობაში?
(შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი ან მხოლოდ პასუხი 1)

1. საერთოდ არ მქონია წარსადგენი რაიმე ოფიციალური ფორმა/ბლანკი;
[თუ შემოხაზულია პასუხი 1. → E1, წინააღმდეგ შემთხვევაში გააგრძელეთ]
2. სათანადო სერვისი ვებ-გვერდზე არ არსებობს;
3. არა მაქვს პირადი წვდომა (ვებ-გვერდზე), ვამჯობინებ ვიზიტს;
4. დაუყოვნებელი გამოხმაურება (ვებ-გვერდიდან) არ არსებობს;
5. უფრო ვენდობი ქალაქდზე წარდგენილს;
6. სათანადო უნარ-ჩვევების უქონლობის გამო (მაგ. არ ვიცი როგორ ვისარგებლო ვებ-გვერდით ან ვებ-გვერდის გამოყენება საკმაოდ რთულია);
7. ვეჭვობ პერსონალური მონაცემების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით;
8. შესაბამისი სამსახურები ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვენ პირად ვიზიტს ან ქალაქდზე დოკუმენტების წარდგენას;
9. სხვა პირმა გააკეთა ეს ჩემს მაგივრად (მაგ. კონსულტანტი, ნათესავი, ოჯახის წევრი);
99. სხვა მიზეზი (მიუთითეთ)_____.

განყოფილება E. E-კომერცის გამოყენება

(ეს განყოფილება ივსება, რესპონდენტებისთვის, რომლებმაც არ უპასუხეს „საერთოდ არ მისარგებლია“ კითხვაში C1)

E1. ბოლოს როდის შეიძინეთ ან შეუკვეთეთ საქონელი/მომსახურება პირადი მიზნებისთვის ინტერნეტის მეშვეობით (გარდა ხელით აკრეფილი ელ. ფოსტისა, SMS-ისა და MMS-ისა)? (ნებისმიერი საშუალებით - სტაციონარულით ან პორტატულით, მობილური ტელეფონის და სმარტფონის ჩათვლით)

1. ბოლო 3 თვის განმავლობაში;
2. ბოლო 3-12 თვის განმავლობაში;
3. 12 თვეზე მეტი ხნის წინ [→F1];
4. არასოდეს ვყიდულობ/ვუკვეთავ ინტერნეტის მეშვეობით [→F1].

E2. რა სახის საქონელი/მომსახურება შეიძინეთ/შეუკვეთეთ ბოლო 12 თვის განმავლობაში, პირადი მიზნებისთვის, ინტერნეტის მეშვეობით? (შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი)

1. ყოველდღიური მოხმარების ან სასურსათო პროდუქტები, მზა საკვები;
2. საოჯახო საქონელი (მაგ. ავეჯი, სათამაშოები და ა.შ.);

3. წამლები, მედიკამენტები;
4. ფილმები, მუსიკა;
5. წიგნები, ჟურნალები, გაზეთები (ელექტრონული წიგნების ჩათვლით);
6. ელექტრონული სასწავლო მასალები;
7. ჩასაცმელი, სპორტული საქონელი;
8. ვიდეო თამაშები ან მათი განახლებანი;
9. სხვა პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტი ან მისი განახლება;
10. კომპიუტერული აღჭურვილობა;
11. ელექტრონული მოწყობილობა (კამერების ჩათვლით);
12. სატელეკომუნიკაციო მომსახურება (ტელევიზიაზე, ფართოზოლოვან კავშირზე ხელმოწერა, ფიქსირებულ ან მობილურ ტელეფონზე ხელმოწერა და ა.შ.);
13. აქციები, სადაზღვევო პოლისები და სხვა საფინანსო მომსახურება;
14. დაბინავება დასვენებისთვის (მაგ. სასტუმროები და ა.შ.);
15. მოგზაურობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (მაგ. ბილეთები, მანქანის დაქირავება და ა.შ.);
16. ბილეთები სხვადასხვა ღონისძიებებისთვის;
17. სხვა (მიუთითეთ)_____.

[თუ პასუხებიდან 4, 5, 6, 8, 9 ერთ-ერთი მაინც შემოხაზულია გააგრძელეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში →E4]

E3. იყო თუ არა, ქვემოთ მოცემული ინტერნეტით შეძენილი/შეკვეთილი პროდუქტებიდან რომელიმე, უშუალოდ ჩამოტვირთული ან ხელმისაწვდომი ვებ-გვერდიდან და არა ფოსტით მიღებული? *(შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი ან მხოლოდ პასუხი 77)*

1. ფილმები და მუსიკა;
 2. (ელექტრონული) წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ელექტრონული სასწავლო მასალები;
 3. პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტი (კომპიუტერული და ვიდეო თამაშების პროგრამების ჩათვლით და მათი განახლებები).
77. არცერთი ჩამოთვლილთაგან.

E4. რომელი ქვეყნიდან შეუკვეთეთ ან იყიდეთ საქონელი/მომსახურება პირადი მოხმარებისთვის, ინტერნეტის მეშვეობით, ბოლო 12 თვის განმავლობაში? *(შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი)*

1. საქართველო;
2. ევროკავშირის ქვეყნები;
3. ყოფილი სსრკ ქვეყნები (ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა);
4. აშშ;

99. დანარჩენი მსოფლიო;
5. ქვეყანა არ ვიცის/არ მახსოვს.

E5. ბოლო 3 თვის განმავლობაში რამდენჯერ შეუკვეთეთ ან იყიდეთ საქონელი/მომსახურება პირადი მოხმარებისთვის, ინტერნეტის მეშვეობით?

შენიშვნა: ეს კითხვა ივსება იმ რესპონდენტებისთვის, რომლებმაც კითხვაში E1-ზე უპასუხეს „ბოლო 3 თვის განმავლობაში“.

1. _____ (ჩაწერეთ რაოდენობა) ან (შემოხაზეთ ერთ-ერთი პასუხი);
2. 1-2-ჯერ
3. 3-5-ჯერ
4. 6-10-ჯერ
5. 10-ზე მეტი

E6. ბოლო 3 თვის განმავლობაში რა თანხის საქონელი/მომსახურება შეუკვეთეთ ან იყიდეთ პირადი მოხმარებისთვის, ინტერნეტის მეშვეობით (არ იგულისხმება წილი და სხვა სახის ფინანსური მომსახურება)?

1. _____ ლარი (ჩაწერეთ თანხა) ან (შემოხაზეთ ერთ-ერთი პასუხი);
2. 50 ლარზე ნაკლები;
3. 50 ლარიდან 100 ლარამდე;
4. 100 ლარიდან 500 ლარამდე;
5. 500 ლარიდან 1000 ლარამდე;
6. 1000 ლარი და მეტი;
7. არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა.

განყოფილება F. E-უნარ-ჩვევები

F1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ინტერნეტ-აქტივობა გაქვთ განხორციელებული?

(კითხვა ივსება რესპონდენტებისთვის, რომლებსაც C1 კითხვაში შემოხაზულია კოდი 1, 2 ან 3)

(შემოხაზეთ ყველა შესაძლო პასუხი ან მხოლოდ პასუხი 77)

1. საძიებო სისტემების გამოყენება ინფორმაციის მოსაძებნად;
2. ელ. ფოსტის გაგზავნა მიმდგრებული ფაილებით (დოკუმენტები, ფოტოები და ა. შ.);
3. ჩათებში, სიახლეთა ჯგუფებში, ონლაინ სადისკუსიო ფორუმებში შეტყობინებების განთავსება (მაგ. სოციალური ქსელების ვებ-გვერდებზე);
4. ინტერნეტის გამოყენება სატელეფონო ზარებისთვის;
5. ე. წ. „ტორენტებისა“ და სხვა, P2P ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საშუალებებით ფაილების გაზიარება ფილმების, მუსიკის და ა.შ. ურთიერთგასაცვლელად;
6. ვებ-გვერდის შექმნა;

7. ტექსტების, თამაშების, სურათების, ფილმების ან მუსიკის ატვირთვა ვებ-გვერდებზე (მაგ. სოციალური ქსელების ვებ-გვერდებზე);
 8. ინტერნეტ-ბრაუზერების დაცვა/უსაფრთხოების პარამეტრების მოდიფიცირება/განახლება;
77. არცერთი ჩამოთვლილთაგან [→F3].

F2. ამჟამად, მიგაჩნიათ თუ არა საკმარისად საკუთარი ინტერნეტ უნარ-ჩვევები შემდეგი ქმედებების განსახორციელებლად? (შემოხაზეთ თითო პასუხი სტრიქონში)

		დიახ	არა	არ ვიცი/ ვერ ვაფასებ
1.	ინტერნეტით ურთიერთობისთვის ნათესავებთან, ამხანაგებთან, კოლეგებთან	1	2	3
2.	პირადი მონაცემების დასაცავად	1	2	3
3.	თქვენი პირადი კომპიუტერის დასაცავად ვირუსებისგან	1	2	3

F3. მიგაჩნიათ თუ არა საკმარისად კომპიუტერის გამოყენებისთვის საჭირო თქვენი უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ იშოვოთ ან შეიცვალოთ სამსახური ერთი წლის განმავლობაში?

(იხსება რესპონდენტებისთვის, რომლებისთვისაც B1 კითხვაში შემოხაზულია კოდი 1, 2 ან 3)

1. დიახ;
2. არა;
3. არ ვიცი/ვერ ვაფასებ.

განყოფილება G. დასაქმება

G1. დასაქმება

1. დაქირავებული ან თვითდასაქმებული (სახლში მომუშავეის ჩათვლით);
თუ „დიახ“
 - 1.1 დაქირავებული;
 - 1.2 თვითდასაქმებული (სახლში მომუშავეის ჩათვლით);
2. უმუშევარი [მიუთითეთ ინტერვიუს დასრულების დრო და დაასრულეთ ინტერვიუ];
3. სამუშაო ძალის გარეთ მყოფი (არააქტიური მოსახლეობა);
თუ „დიახ“
 - 3.1. სტუდენტი/მოსწავლე (სამუშაო ძალის გარეთ მყოფი) [მიუთითეთ ინტერვიუს დასრულების დრო და დაასრულეთ ინტერვიუ];
 - 3.2. სხვა სამუშაო ძალის გარეთ მყოფი [მიუთითეთ ინტერვიუს დასრულების დრო და დაასრულეთ ინტერვიუ].

G2. საქმიანობა

(ივსება რესპონდენტებისთვის, რომლებმაც უპასუხეს „დაქირავებული ან თვითდასაქმებული“ კითხვაში G1)

(ჩაწერეთ სიტყვიერად) _____

2- ნიშნა კოდი ISCO-88 (არ ივსება ინტერვიუერის მიერ)

ინტერვიუს დასრულების დრო

:

საათი

წუთი

ინტერვიუერის შენიშვნებისთვის:

ზედამხედველის შენიშვნებისთვის:

